აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2025 წლის ანგარიში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის თავისუფლების მდგომარეობის შესახებ

2025 წლის საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე, შემოვიდა სულ 1 (ერთი) მოთხოვნა, რომელსაც მთავრობის აპარატის მიერ პასუხი გაეცა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატს გააჩნია მონაცემთა ბაზები, რომლებიც შეიცავენ აფხაზეთიდან დევნილთა და აპარატის თანამშრომელთა პერსონალურ მონაცემებს და მათზე წვდომა გააჩნიათ უწყების შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს მათი კომპეტენციის ფარგლებში. ამასთან, საანგარიშო პერიოდში საჯარო მონაცემთა ბაზების, საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემა არ მომხდარა.

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში დასაქმებულთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისა და პასუხისმგებელ პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელის დადგენის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ უთქვამს, ასევე არ მომხდარა კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვა.

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის აპარატის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი,
აპარატის უფროსის მოადგილე **გოგი მანია**

Government of the A/R of Abkhazia

Digitally signed by Government of the A/R of Abkhazia
Date: 2025.12.08 16:31:58 +04'00'